მართლმსაჯულების ტრანსფორმაცია: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა სამართლებრივი მექანიზმებისა და ტექნოლოგიების საშუალებით

საზაფხულო სკოლა სამართლისა და ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მიმართულების სტუდენტებისთვის

3-7 გვისტო 2026

შესავალი

ქალთა მიმართ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა (TFVAW) - ძალადობის სულ უფრო ფართოდ გავრცელებული ფორმაა, რომელიც აერთიანებს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ციფრული მმართველობისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროებს. ონლაინ შევიწროება, კიბერადევნება, გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა, კიბერფლეშინგი, დიფფეიქი, დოქსინგი, და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით გამოწვეული ზიანი ცხადყოფს, რომ ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობა მხოლოდ სამართლებრივი და სოციალური პრობლემა არ არის - იგი ასევე ტექნოლოგიური და სისტემური გამოწვევაა.

ამ გამოწვევებთან ეფექტიანი გამკლავებისთვის აუცილებელია სამართლისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სფეროს წარმომადგენლებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. მომავალი იურისტები, ტექნოლოგიების დეველოპერები, ინჟინრები თუ დიზაინერები საჭიროებენ როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ უნარებს, რათა გააცნობიერონ, როგორ შეიძლება ტექნოლოგიები ხელს უწყობდეს ქალთა მიმართ ჩადენილ ძალადობას ან, პირიქით, ხელს უწყობდეს მის პრევენციას, და როგორ ვრცელდება ადამიანის უფლებათა სტანდარტები ციფრულ სფეროში.

ახალგაზრდა პროფესიონალების შესაძლებლობების გასაძლიერებლად საქართველოში, და იმისთვის რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა ინტერდისციპლინური თანამშრომლობის გზით ეფექტიანად უპასუხონ ქალთა მიმართ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ ძალადობას, ევროპის საბჭო აორგანიზებს 5-დღიან საზაფხულო სკოლას - *„მართლმსაჯულების ტრანსფორმაცია: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა სამართლებრივი მექანიზმებისა და ტექნოლოგიების საშუალებით“.* საზაფხულო სკოლა აერთიანებს სამართლისა და ICT მიმართულების სტუდენტებს, რათა მათ იმსჯელონ თუ როგორ ვრცელდება სამართლებრივი სტანდარტები ციფრულ სფეროში, და როგორ შეიძლება ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენება გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, პრევენციული მექანიზმების გასაძლიერებლად და ეთიკური, უფლებებზე დაფუძნებული ტექნოლოგიების შესაქმნელად, რომლებიც ხელს შეუწყობს პრევენციას, მსხვერპლთა დაცვას, ანგარიშვალდებულებასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული ინიციატივა მჭიდრო კავშირშია ევროპის საბჭოს ძირითად სტანდარტებსა და პრიორიტეტებთან. იგი ხელს უწყობს სტამბოლის კონვენციის იმპლემენტაციას საქართველოში ცნობიერების ამაღლების, განათლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით, რათა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია ციფრულ გარემოში უფრო ეფექტიანი გახდეს. საზაფხულო სკოლა ასევე ეხმიანება სტამბოლის კონვენციის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის

(GREVIO) მიერ მომზადებულ ზოგად რეკომენდაციას No.1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, და რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტექნოლოგიებით გამოწვეული რისკების მართვისა და ინტერდისციპლინური რეაგირების მნიშვნელობაზე. ამასთანავე, საზაფხულო სკოლა მხარს უჭერს „ევროპისთვის ახალი დემოკრატიული პაქტის“ მიმართულებას — *„დემოკრატიის სწავლა და პრაქტიკაში განხორციელება მდგრადობის გასაძლიერებლად“* — ციფრული მოქალაქეობისა და დემოკრატიული მდგრადობის გაძლიერების გზით. პროგრამა მომავალ პროფესიონალებს ეხმარება, კრიტიკულად გააანალიზონ ციფრულ სივრცეში არსებული რისკები, დაუპირისპირდნენ ონლაინ ზიანის მომტან პრაქტიკებს და ხელი შეუწყონ უფრო უსაფრთხო და ინკლუზიური ციფრული გარემოს შექმნას.

საზაფხულო სკოლის პროგრამა

საზაფხულო სკოლა აერთიანებს სამართლისა და ICT მიმართულების სტუდენტებს, რათა მათ ერთობლივად შეისწავლონ, როგორ ურთიერთქმედებს სამართლებრივი ჩარჩოები, ციფრული ტექნოლოგიები და ინსტიტუციური რეაგირების მექანიზმები ქალთა მიმართ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების პროცესში. პროგრამა აერთიანებს სამართლებრივ და ტექნოლოგიურ პერსპექტივებს და ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ სწავლებას ინტერაქტიული ლექციების, პრაქტიკული ვორქშოფების, სიმულაციების, როლური თამაშების, შემთხვევების ანალიზზე დაფუძნებული დისკუსიების მეშვეობით.

საზაფხულო სკოლა მოიცავს შემდეგ ძირითად თემატურ მიმართულებებს:

- გენდერი, სოციალური ნორმები და ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ძალადობა ციფრულ სფეროში.
- ქალთა მიმართ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა, მათ შორის ასეთი ძალადობის ისეთი ფორმები, როგორიცაა კიბერადევნება, ონლაინ შევიწროება, გამოსახულებაზე დაფუძნებული ძალადობა და სხვა ციფრული ძალადობის ფორმები და მათთან ასოცირებული რისკები.
- საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოები და სტანდარტები, მათ შორის სტამბოლის კონვენცია და ევროპის საბჭოს შესაბამისი სტანდარტები.
- *Safety by Design,* რისკების შეფასება და მომხმარებელთა დაცვა. როგორ შეიძლება ციფრულმა პროდუქტებმა და სერვისებმა თავიდან აიცილონ ზიანი და გააძლიერონ კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვა.
- შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება და ინტერდისციპლინური თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები გააანალიზებენ სხვადასხვა სცენარს და შეისწავლიან სამართლებრივი და ტექნოლოგიური რეაგირების კომბინირებულ მიდგომებს.
- მსხვერპლზე ორიენტირებული და ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკურ, უფლებებზე დაფუძნებულ რეაგირებას და პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანის ღირსებასა და უსაფრთხოებას.
- მტკიცებულებების მოპოვება ციფრულ სფეროში და ინსტიტუციური რეაგირება, მათ შორის მტკიცებულებების დამუშავება და ციფრულ სფეროში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების პროცესში არსებული გამოწვევები.
- პლატფორმების პასუხისმგებლობა, ონლაინ კონტენტის მოდერაცია და თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ხელოვნური ინტელექტი (AI), და ყალბი და სინთეზური გამოსახულებების შექმნა (deepfakes), ალგორითმული მიკერძოება და ანგარიშვალდებულების საკითხები ციფრულ სფეროში.

საზაფხულო სკოლა მოიცავს ორ კომპონენტს:

ICT კომპონენტი
ICT კომპონენტი ეფუძნება *Safety by Design* კონცეფციას, როგორც პრაქტიკულ და პრევენციულ ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს ციფრული სფეროში ზიანის შემცირებასა და მასზე რეაგირებას პროდუქტებისა და სერვისების განვითარების ყველაზე ადრეული ეტაპებიდანვე. საზაფხულო სკოლის მონაწილეები შეისწავლიან, როგორ შეიძლება ციფრულმა სისტემებმა, ონლაინ პლატფორმებმა, AI ინსტრუმენტებმა და ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ ძალადობას ან, პირიქით, მისი პრევენციის მექანიზმად იქცეს.

ICT სესიები ფოკუსირებული იქნება ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკებისა და არაუსაფრთხო დიზაინის პრაქტიკების იდენტიფიცირებაზე, კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებზე, მომხმარებელთა გაძლიერებასა და ავტონომიაზე, რისკების შეფასებასა და უსაფრთხო პროდუქტებისა და პლატფორმების დიზაინზე, ასევე ციფრული სერვისების მართვისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებზე.

მონაწილეები შეისწავლიან, თუ როგორ შეიძლება ტექნოლოგიურმა სისტემებმა უნებლიედ გააძლიეროს არსებული რისკები და მეორეს მხრივ, როგორ შეიძლება უფრო უსაფრთხო და ეთიკური ციფრული გარემოს შექმნა.

სამართლებრივი კომპონენტი
სამართლებრივი კომპონენტი ფოკუსირებულია საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებსა და სამართლებრივი ჩარჩოების მიმოხილვაზე.

მონაწილეები შეისწავლიან ქალთა მიმართ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხებს, სახელმწიფოს ვალდებულებებს საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლის ფარგლებში, ევროპის საბჭოს შესაბამის სტანდარტებს, ციფრულ სფეროში ჩადენილი ძალადობის დროს მტკიცებულებების მოძიებისა და დამუშავების საკითხებს და ინსტიტუციურ რეაგირებას, პლატფორმების ანგარიშვალდებულებას, მსხვერპლზე ორიენტირებულ და ტრავმაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მიდგომებს, აგრეთვე ციფრულ გარემოში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსა და სტამბოლის კონვენციის გავრცელების საკითხს ციფრულ სფეროში.

სამიზნე აუდიტორია

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას მიიღებს **30 სტუდენტი,** მათ შორის **15 სამართლის და 15 ICT მიმართულების სტუდენტი**, რომლებიც არიან ბაკალავრიატის ბოლო კურსზე ან სწავლობენ მაგისტრატურზე (აპლიკაციის გამოგზავნის ეტაპზე), და არიან სამართლის, საერთაშორისო სამართლის ან ICT-სთან დაკავშირებული ფაკულტეტების სტუდენტები. ფართო წარმომადგენლობისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, მონაწილეები შეირჩევიან საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, მათ შორის თბილისის ფარგლებს გარეთ მდებარე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

პროგრამა განკუთვნილია მაღალი მოტივაციის მქონე სტუდენტებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ტექნოლოგიებით ხელშეწყობილი ძალადობის (TFVAW) წინააღმდეგ ბრძოლაში სამართლისა და ტექნოლოგიების როლის მიმართ. მონაწილეთა შერჩევა

განხორციელდება აკადემიური მოსწრებისა და თემის მიმართ გამოვლენილი ინტერესის საფუძველზე. განსაკუთრებული ყუადღება მიექცევა იმას, თუ როგორ გეგმავენ სტუდენტები საზაფხულო სკოლის პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

მეთოდოლოგია

საზაფხულო სკოლა მოიცავს **5 სამუშაო დღეს** (3-7 აგვისტო) და აერთიანებს ინტერაქტიულ ლექციებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებს, სიმულაციებსა და შემთხვევებზე დაფუძნებულ დისკუსიებს. სწავლების მეთოდოლოგია მიზნად ისახავს მონაწილეთა აქტიური ჩართულობის, ინტერდისციპლინური სწავლებისა და პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის უნარების განვითარებას.

პროგრამა აერთიანებს როგორც **პარალელურ, ისე ერთობლივ სესიებს** სამართლისა და ICT მიმართულების სტუდენტებისთვის. პარალელური სესიების ფარგლებში სამართლის სტუდენტები, ექსპერტებთან ერთად, იმსჯელებენ სამართლებრივ ჩარჩოებზე, ანგარიშვალდებულებასა და უფლებებზე დაფუძნებულ რეაგირებაზე; ხოლო ICT მიმართულების სტუდენტები შეისწავლიან, როგორ შეიძლება ციფრულმა ტექნოლოგიებმა და პლატფორმებმა მეტად გააძლიეროს ონლაინ ზიანი და პირიქით, როგორ შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდეს ძალადობის პრევენცია. ერთობლივი სესიების დროს კი ორივე მიმართულების სტუდენტები ერთობლივად იმსჯელებენ TFVAW-ის საკითხებზე, განიხილავენ რეალურ შემთხვევებზე დაფუძნებულ შემთხვევებს და ეცდებიან იპოვონ პრობლემის გადაჭრის ერთობლივი გზები.

სწავლის შედეგები

საზაფხულო სკოლის პროგრამის დასრულების შემდეგ, მონაწილეები:

- გაიღრმავებენ ცოდნას ქალთა მიმართ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის მარეგულირებენ ძირითად საერთაშორისო და ეროვნულ სამართლის ჩარჩოებს, მათ შორის სტამბოლის კონვენციასა და ევროპის საბჭოს შესაბამის სტანდარტებს
- უკეთ გააცნობიერებენ როგორ შეიძლება ციფრულმა ტექნოლოგიებმა, ონლაინ პლატფორმებმა და ხელოვნური ინტელექტის სისტემებმა გააძლიეროს ქალებისა და გოგოების მიმართ ონლაინ ზიანი ან, პირიქით, ხელი შეუწყოს მის პრევენციას;
- შეძლებენ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების, უსაფრთხო ციფრული პრაქტიკებსა და მართვის სისტემებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას, რომლებიც ზრდის ქალთა მიმართ ციფრულ სფეროში ჩადენილი ძალადობის, ადევნების, იძულებითი კიბერკონტროლისა და გამოსახულებაზე დაფუძნებული ძალადობის რისკებს;
- განივითარებენ პრაქტიკულ ინტერდისციპლინურ უნარებს შემთხვევების ანალიზის, სიმულაციების, ჯგუფური სავარჯიშოებისა, და თანამშრომლობაზე დაფუძნებული აქტივობების მეშვეობით;
- შეძლებენ ონლაინ პლატფორმების პასუხისმგებლობის საკითხის, ციფრულ სფეროში ძალადობის შეტყობინებისა და რეაგირების მექანიზმების შეფასებას, როგორც სამართლებრივი, ისე ტექნოლოგიური პერსპექტივიდან;
- ამოიცნობენ თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რისკებს, მათ შორის ე.წ. „გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტს“ (generative AI), ყალბი და სინთეზური გამოსახულებების შექმნას (deepfakes), და ალგორითმულ მიკერძოებებს;

- შეძლებენ უფრო უსაფრთხო, ინკლუზიური და უფლებებზე დაფუძნებული ციფრული გარემოების შექმნას დიზაინით გათვალისწინებული უსაფრთხოებისა *(Safety by Design)* და ანგარიშვალდებულების პრინციპების გამოყენებით;
- დაამყარებენ პროფესიულ კავშირებს და გაიცნობენ მათ სფეროში მომუშავე სამართლისა და ICT სფეროს ექსპერტებს და თანატოლებს, რომლებიც მხარს უჭერენ გენდერული თანასწორობას, ადამიანის უფლებებსა და უსაფრთხო ციფრული გარემოს შექმნას.

პრაქტიკული ინფორმაცია

საზაფხულო სკოლის თარიღები:
3-7 აგვისტო 2026

მგზავრობის დღეები:
- ჩასვლა სასტუმროში - 2 აგვისტო
- უკან დაბრუნება - 8 აგვისტო

ადგილმდებარეობა:
ლოპოტა, კახეთი, საქართველო

სამუშაო ენა: ქართული (უზრუნველყოფილი იქნება თანმიმდევრული თარგმანი ქართულ ენაზე იმ სესიებისთვის, რომლებიც ჩატარდება ქართულ ენაზე).

შერჩევის პროცესი: განაცხადების მიღების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში ვებ-გვერდებზე და გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით საქართველოს უნივერსიტეტებში. აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ყოვლისმომცველი **CV,** რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი მათი აკადემიური განათლება, შესაბამისი გამოცდილება და ადამიანის უფლებებთან და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო პროგრამის მიღმა არსებული აქტივობები. გარდა ამისა, კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე **სამოტივაციო წერილი** (მაქსიმუმ 500 სიტყვა), რომელშიც ახსნილი იქნება მათი ინტერესი საზაფხულო სკოლის პროგრამის მიმართ, შესაბამისი გამოცდილება და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აპირებენ მიღებული ცოდნის გამოყენებას.

შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, **30 მონაწილე შეირჩევა** მათი აკადემიური მოსწრებისა და თემის მიმართ გამოხატული ინტერესის საფუძველზე.

ფინანსური მხარდაჭერა: მონაწილეობისთვის საჭირო ყველანაირი ხარჯი დაიფარება ევროპის საბჭოს მიერ, კერძოდ, მგზავრობა, საცხოვრებელი და კვება. მონაწილეები განთავსდებიან ორადგილიან ნომრებში.

საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

სერტიფიკატი: საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილე მიიღებს სერტიფიკატს პროგრამაში მათი ჩართულობისა და წვლილის აღსანიშნავად.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა **2026 წლის 16 ივნისი, 23:59 (თბილისის დრო).** ვადის გასვლის შემდეგ მიღებული ნებისმიერი განაცხადი ავტომატურად უარყოფილი იქნება.

ყველა განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელ-ფოსტაზე genderequality.georgia@coe.int, მეილის სათაურით (with the subject) „საზაფხულო სკოლა 2026.“

ინიციატივა ორგანიზებულია ევროპის საბჭოს პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, მართლმსაჯულების გაძლიერება და ქალთა მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილია.